PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გეორგია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა გახარია

წევრი:

ირაკლი სალუქვაძე

(თბილისი, 2021)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

PDF Eraser Free

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გეორგია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „გეორგია“ მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 25 მარტს გამოცემული N285553 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „გეორგია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „გეორგია“ მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩამოაყალიბა დამაზუსტებელი შეკითხვები ღიად დარჩენილი საკითხებისთვის, შეაჯერა განხილული საკითხები და შეიმუშავა დისტანციურ რეჟიმში წარსამართი გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

შეხვედრის განრიგის თანახმად, ექსპერტების ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელებს შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, შედგა 2021 წლის 16 აპრილს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების 6 წარმომადგენელს: დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო განყოფილების მენეჯერი, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები“ მიმართულების ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარი, ასევე შედგა პროფესიული მოდულების და ზოგადი მოდულების განმახორციელებლების ინტერვიუირება.

გასაუბრებისას გამოიკვეთა ზოგიერთი მტკიცებულების წარმოდგენის აუცილებლობა, შესაბამისად გასაუბრების ეტაპზე დაწესებულებამ, ცენტრის საშულებით, მიაწოდა ექსპერტებს გარკვეული დოკუმენტები.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

PDF Eraser Free

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული იმ რეკომენდაციის შესახებ, რომლის შესრულების შემოწმება კავშირშია მიმდინარე წარმოებასთან:

- *სასწავლო გეგმებში, იმ მოდულებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნიათ დაშვების წინაპირობა, გათვალისწინებულ იქნას სწავლის შედეგების შესაძლო განმეორებითი დადასტურებისთვის საჭირო 1 კვირიანი ვადა - <u>გათვალისწინებულია;</u>*
- *სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ვადა შემცირდეს და განისაზღვროს მოცულობის ადეკვატური დროით - <u>გათვალისწინებულია;</u>*
- *დაწესებულების განმარტებით, სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი კვირების ნუმერაცია არის „სასწავლო კვირის“ ნუმერაცია და იგი არ ემთხვევა კალენდარულ კვირას. ეს განმარტება ბუნდოვანს ხდის პროგრამის ხანგრძლივობას, ვინაიდან, მსგავსი მიდგომით, შესაძლოა, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ე.წ. 60 „სასწავლო კვირა“, კალენდარულად უფრო დიდხანს გაგრძელდეს. აღნიშნული მიდგომა არსად არ არის განმარტებული. ექსპერტების რეკომენდაციაა, ეს საკითხი დაზუსტდეს, ნორმატიულ დოკუმენტებში მკაფიო ჩანაწერი გაჩნდეს, რომელიც სტუდენტებს გაუგებარ მდგომარეობაში არ ჩააყენებს და სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვის საშუალებას მისცემს <u>გათვალისწინებულია.</u>*

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები

არ გაცემულა.

<u>განმავითარებელი რეკომენდაციები:</u>

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.1.1 - 1

დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია განიხილოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნებისთვის პროგრამის განხორცილების მიზანშეწონილობის დოკუმენტში მეორადი კვლევებით მიღებული/დამუშავებული ინფორმაცია/სტატისტიკური მონაცემების გამოყენება პროგრამების განხორცილების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.1.1 – 8

PDF Eraser Free

ექსპერტების შეფასებით, რეკომენდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისთვის იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური ხასიათის შეცდომების პრევენციას და კოლეჯში დამტკიცებული რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.4.1 – 4

„პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციებით“ განსაზღვრულ შიდა და გარე მობილობასთან და პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საკითხებთან დაკავშირებით, ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გასწორდეს შესაბამისი ჩანაწერი, რათა მკაფიოდ ჩანდეს გარე მობილობის სხვა პროფესიული განათლების მიმწოდებელი დაწესებულების პროფესიულ სტუდენტზე გავრცელება და პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები თანხვედრაში იქნას მოყვანილი შესაბამისი პუნქტის მოთხოვნებთან (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერითი მიმოხილვისა და ანალიზის ნაწილში).

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.4.1 – 5 და ინდიკატორი 2.4.2 – 1-2

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესწავლაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით:

- მნიშვნელოვანია განისაზღვროს დამატებითი შეფასებისთვის საჭირო შეფასების ინსტრუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები;
- სასურველია აპელაციის მექანიზმში იკვეთებოდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა როგორც პროცედურულ, ასევე შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით;
- უმჯობესია ვადების განსაზღვრის ნაწილში მითითებულ იქნას იგულისხმება კალენდარული თუ სამუშაო დღეები (ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში სახელდება);
- საჭიროა სტუდენტისთვის დაწესებულების მიერ მინიჭებული არჩევანის უფლების დეკლარირებას მიეცეს სათანდო ფორმულირება (განსხვავებით ჩანაწერისა *„იგი ვალდებულია თავიდან გაიაროს აღნიშნული მოდული“,* როდესაც რეგულაცია ითვალისწინებს ალტერნატივას).

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.2.1 – 4

„შინაგანაწესში“ მოცემული მიმართულების ხელმძღვანელის ფუნქციების შესწავლის შედეგად, ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მიმართულების ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების ჩამონათვალში გამოირიცხოს ერთდროულად ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცესში ჩართულობა ან ჩანაწერი გახდეს მკაფიო რიგ შემთხვევებში, ერთ-ერთ პროცესში მისი მონაწილეობის შეუძლებლობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

1-ლი სტანდარტი, ინდიკატორი 1.2.1 - 3

PDF Eraser Free

დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია განიხილოს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემადგენელი ნაწილები/ველები სტანდარტით გათვალისწინებულ ტერმინებთან მიმართებაში (რეკომენდებულია „მიმართულება“ ჩამოყალიბდეს როგორც „მიზანი“, ხოლო „მიზანი“ როგორც „ამოცანა“).

მე-4 სტანდარტი, ინდიკატორი 4.1.1 - 3

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების ეტაპზე გამოკვეთილი გარემოებებიდან გამომდინარე - ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობა პროგრამის შემუშავების ეტაპზე - დაწესებულებას ექსპერტების მიერ მიეცა რეკომენდაცია შემუშავებული რეგულაციების და განაწილებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, სრულად გამორიცხოს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი მიდგომების შენარჩუნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ეტაპზე ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობასთან დაკავშირებით.

რეგულაციების შემუშავების/გადამუშავების ზოგადი რეკომენდაციები:

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების“, „შინაგანაწესის“, „პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციების“ შესწავლაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, საჭიროა დაწესებულებამ მოახდინოს რეგულაციების იმგვარი გადახედვა/გადამუშავება, რათა უზრუნველყოფილი იქნას:

- დოკუმენტის მკაფიო სტრუქტურით პროცესების იდენტიფიცირება, მათი სრულყოფილი, თანმიმდევრული აღწერა, ვიდრე განსახორციელებელი აქტივობების ჩამოთვლა (მაგ. პროგრამის შეფასების მექანიზმები);
- პროცესებში აქტივობების ქრონოლოგიის დაცვა, ვიდრე უკუთანმიმდევრობა ან ფრაგმენტულობა (მაგ. პროგრამაში ცვლილების შეტანა, შემდგომ შემუშავება, კრედიტის მინიჭება შემდეგ პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება, განმსაზღვრელი შეფასების დამატებითი შეფასების პირობები, შემდეგ შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესი);
- დოკუმენტის თავებად/მუხლებად/პუნქტებად დაყოფა სრულყოფილად და შესაბამისი დასათაურება (მაგ. მე-3 მუხლი მოიცავს ნაწილებს და მეორდება პუნქტების ნომრები).
- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისას პუნქტების ზედმიწევნით გადმოტანის თავიდან აცილება;
- პროგრამის ადაპტირების ინსტრუქციებისა და დამტკიცებული პროგრამის შესაბამისობა (*„პრაქტიკული მოდულები ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, რეალურ სამუშაო გარემოში. ამისათვის კოლეჯს გააჩნია პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულება (კონტრაქტი)“*, მაშინ როდესაც მოცემული პროგრამა არ მოიცავს პარტნიორთან თანამშრომლობას).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N47 – 22.02.21
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	თბილისი, თ. ერისთავის N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	25 მოდულური თბილისი, თ. ერისთავის N2
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

PDF Eraser Free

1. ამს საზოგადოებრივი კოლეჯის „გეორგია“ მისიაა:

- *სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაზე, შიდა და გარე ბაზრებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა, როგორც სწავლის გაგრძელების, ისე დასაქმების, მათ შორის საკუთარი ბიზნესის წამოწყების თვალსაზრისით;*
- *კოლეჯი შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ადამიანური რესურსების მოზიდვით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიან და ეფექტურ წარმართვას. სტუდენტებს სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კურსების ფართო არჩევანს, რომელიც უზრუნველყოფს წარმატებულ და ეფექტიან განათლებას, თანაბარ ხელმისაწვდომობას, სწავლება-სწავლის სხვადასხვა მიდგომებისა და ფორმების შეთავაზებას და მორგებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთაც.*
- *კოლეჯი ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის შექმნას, შრომის ბაზარზე პირის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობას პროფესიული მომზადებისა და გადამზადების გზით, სოციალური პარტნიორობისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარებას; პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის ჩამოყალიბებას;*

დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2027 განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე და მის ერთ-ერთი სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს *„ფართო სპექტრის პროგრამების შემუშავება მომხმარებლების ინტერესების დასაკმაყოფილებლად“.*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები” განხორციელების მიზანშეწონილობის ნაწილში განაცხადით წარმოდგენილია დოკუმენტი სახელწოდებით „პროგრამის დასაბუთება“, რომელშიც აღწერილია სფეროს მნიშვნელოვნება და აღნიშნული მიმართულებით ზოგადად კადრებზე მოთხოვნა საქართველოს შრომის ბაზრის არსებულ კვლევებზე დაყრდნობით (საქსტატი).

ექსპერტების შეფასებით, დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები” დამატების თაობაზე არ ეწინააღმდეგება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას და გამომდინარეობს განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტიდან.

<u>დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია განიხილოს:</u>

- <u>სტრატეგიული განვითარების გეგმის შემადგენელი ნაწილები/ველები სტანდარტით გათვალისწინებულ ტერმინებთან მიმართებაში (რეკომენდებულია „მიმართულება“ ჩამოყალიბდეს როგორც „მიზანი“, ხოლო „მიზანი“ როგორც „ამოცანა“);</u>
- <u>პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტში მეორადი კვლევებით მიღებული/დამუშავებული ინფორმაცია/სტატისტიკური მონაცემები გამოყენებული იქნას პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „ინფორმაციის ტექნოლოგია", სარეგისტრაციო ნომერი (06112) და თანხვედრაშია მასში განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან - საბაზო განათლება.

PDF Eraser Free

დაწესებულებაში შემუშავებული „პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციების" მე-4 მუხლი განსაზღვრავს *„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სახელმწიფო დაფინანსებით ჩარიცხვის წესსა და პროცედურებს"*, ხოლო იმ შემთხვევას, თუ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა აჭარბებს აპლიკანტთა რაოდენობას, არეგულირებს მე-5 მუხლი *„აპლიკანტთა შიდა შერჩევის წესი და პროცედურების"* შესახებ, რომლის ერთ-ერთ მიზნად დეკლარირებულია *„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისობის დადგენა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის აუცილებელ უნარებთან".*

ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" დაშვების წინაპირობა და პროცედურების შემუშავებული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. კოლეჯში შემუშავებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების" მე-7 მუხლის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა" თანახმად:

„პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია არის ლოგიკური და ითვალისწინებს კოლეჯის და განსახორციელებელი პროგრამის სპეციფიკას, ასევე არსებული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო რესურსებს. კერძოდ კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

1) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B და C) გარემო;

ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა

ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა

გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა

2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

3) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი (პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციასთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში- ადგილების ჯამი)"

აღნიშნულ ნაწილში განაცხადით წარმოდგენილია, ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნების მიხედვით შედგენილი დოკუმენტი, სახელწოდებით *„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა".*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

წარმოდგენილი ხელმოწერილი დოკუმენტი ეყრდნობა იმ კრიტერიუმებს, რომელიც გათვალისწინებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით. შესაბამისად, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობა გამოანგარიშებულია დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსი ადაპტირებულია ჩარჩო დოკუმენტით რეკომენდებულ ჩამონათვალიდან და იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" განსაზღვრული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. კოლეჯში დამტკიცებული შინაგანაწესის მე-17 მუხლის 17.2 პუნქტის „23-ე" ქვეპუნქტით დირექტორს განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება. აღნიშნული რეგულაციის დაცვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" (განხილულია სასწავლო მეთოდური საბჭოს სხდომაზე, ოქმი N1 – 15.02.21) დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N47 – 22.02.21.

   შესაბამისად, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ.

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" ასრულებს იდენტიფიკატორის ფუნქციას - იძლევა სწორ მიმართულებას პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, არ არის ბუნდოვანი და შეესაბამება პროგრამის შინაარსს.

8. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" შესაბამისი დანართებით წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტის „ინფორმაციის ტექნოლოგია" (სარეგისტრაციო ნომერი - 06112) და შესაბამისი სარეკომენდაციო დანართების ადაპტირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების რეკომენდებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამის ძირითადი დოკუმენტს დანართების სახით ახლავს შესაბამისი მოდულები, მათ შორის ქართული ენა (A2) და სასწავლო გეგმა. ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, სავარუდო ხანგრძლივობა კვირებში (41 კვირა, მათ შორის 38 სასწავლო კვირა), ასევე დაშვებისა და სწავლების თავისებურებები არაქართულენოვანი პირებისთვის, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში.

PDF Eraser Free

გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს მიაწოდეს ინფორმაცია პროგრამის ინიცირების, ადაპტირებისა და დამტკიცების ეტაპების შესახებ და წარმოადგინეს პროცესის ამსახველი მტკიცებულებები - ადმინისტრაციის დისტანციური შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა (screenshot-ები) ხარისხის მართვის მენეჯერის მონაწილეობით, ხარისხის მართვის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი პროგრამის დამატების ინიცირების შესახებ და სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობით, პროგრამის პროექტის, პროგრამის განმახორციელებლებისა და განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განხილვის შესახებ.

<u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტების მიერ განემარტათ ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის მოთხოვნა („პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს), რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავების ეტაპზე ხარისხის მართვის მენეჯერის მონაწილოება შემოიფარგლებოდა კონსულტირებით. ექსპერტების მიერ კოლეჯის განაცხადით წარმოდგენილ „შინაგანაწესში" გადამოწმდა ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები. შესწავლილი დოკუმენტით არ დასტურდება ხარისხის მართვის მენეჯერის მოვალეობებში პროგრამების შემუშავების ვალდებულება. ამგვარად, დაწესებულებას ექსპერტების მიერ მიეცა რეკომენდაცია შემუშავებული რეგულაციების და განაწილებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, სრულად გამორიცხოს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი მიდგომების შენარჩუნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ეტაპზე ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობასთან დაკავშირებით.</u>

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და მოდულების შესწავლის შედეგად გამოკვეთა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა:

- პროგრამის ძირითადი დოკუმენტის მე-11 ნაწილის მიხედვით, *„კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები"*. ხოლო, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების" მე-16 მუხლის თანახმად, საკვალიფიკაციო კომისია, იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ან უარის თქმის შესახებ, თუმცა პროგრამაში აღნიშნული ინფორმაცია არ იკითხება.
- უცხოური ენის მოდულის სახელწოდებად განსაზღვრულია „ინგლისური ენა" სასწავლო გეგმასა და მოდულის დოკუმენტში, მათ შორის ზოგადი ინფორმაციის ნაწილში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ექსპერტების შეფასებით, რეკომენდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისთვის იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური ხასიათის შეცდომების პრევენციას და კოლეჯში დამტკიცებული რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯის „გეორგია“ მისია;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯში „გეორგია“ განვითარების სტრატეგიული გეგმა (2020-2027);
3. „პროგრამის დასაბუთება“;
4. შპს საზოგადოებრივ კოლეჯში „გეორგია“ შინაგანაწესი;
5. „პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციები“;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები”;
7. „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა;
8. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“;
9. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" განხორციელება სრულად დაგეგმილია კოლეჯის ბაზაზე, პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი დაწესებულების მფლობელობაშია, რაც დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით.

   პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის მოწყობილია სამი აუდიტორია შესაბამისი აღჭურვილობით:

   A ტიპის გარემო - პროფესიული სტუდენტის 15 სამუშაო ადგილით;

   B ტიპის გარემო - პროფესიული სტუდენტის 10 სამუშაო ადგილით;

   B/C ტიპის გარემო - პროფესიული სტუდენტის 15 სამუშაო ადგილით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" დარგობრივ მოდულებზე განსაზღვრულია 2 განმახორციელებელი, ზოგად მოდულებზე - 7 პირი, თითოეულ მოდულზე ერთი განმახორციელებელი, უცხოური (ინგლისური) ენის მოდულის შემთხვევაში კი - 2. მოცემული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმის მიხედვით, განმახორციელებლების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საკონტაქტო საათს.

   ერთ-ერთი ზოგადი მოდულის განმახორციელებელი ამავდროულად არის ადმინისტრაციის თანამშრომელი, რომლის საათობრივი დატვირთვა რეგულირდება შინაგანაწესში მოცემული შეზღუდვით - ადმინისტრაციული პერსონალის კვირაში არაუმეტეს 10 საათის დატვირთვის შესახებ, ასევე განსაზღვრულია მიმართულების ხელმძღვანელისთვის კვირაში არაუმეტეს 15 საათის ჩატარების შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული შეზღუდვა კონტროლდება ცხრილისა და საათობრივი დატვირთვის ბადის მეშვეობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

PDF Eraser Free

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" განაცხადის ადამიანური რესურსების დანართით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შესაბამისი მოდულების განსახორციელებლად შერჩეულ პირებს უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია და აქვთ სწავლების, მათ შორის პროფესიული განათლების მიმართულებით, გამოცდილება. ამასთან დაწესებულება უზრუნველყოფს შიდა ტრენინგების ჩატარებას თანამშრომლობის საწყის ეტაპზე, ხოლო შემდგომში - ყოველკვირეულ კონსულტაციებს პროფესიული განათლების მასწავლებელთან პირისპირ/დისტანციური ფორმატის შეხვედრების გზით.

   ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. 2019 წლის 20 სექტემბრის N2 ბრძანებით დანიშნულია „არქიტექტურისა და კომპიუტერული დაგეგმარების მიმართულების ხელმძღვანელი", რომელიც მოიაზრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" „ხელმძღვანელად".

   კოლეჯის „შინაგანაწესის" მე-17 მუხლის 17.7 პუნქტით „მიმართულების ხელმძღვანელის" პოზიციის დასახელების ქვეშ, განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები. მის ფუნქციების მე-11 პუნქტად იკითხება *„კომპეტენციის ფარგლებში ჩართულობა ვერიფიკაციის პროცესში",* ხოლო მე-17 პუნქტის მიხედვით მიმართულების ხელმძღვანელი *„კომპეტენციის ფარგლებში ითანხმებს კალენდარულ გეგმებს და შეფასების ინსტრუმენტებს".*

   ამასთან, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების" მე-4 მუხლის მიხედვით *„კალენდარულ გეგმას და შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს განმახორციელებელი პირი, რომელსაც განიხილავს და ვალიდაციის შემთხვევაში, ითანხმებს სასწავლო განყოფილების მენეჯერი და მიმართულების ხელმძღვანელი, ხოლო ვერიფიკაციას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი შიდა მხარდაჭერის ჯგუფთან ერთად"*

   <u>ექსპერტების რეკომენდაციით, აუცილებელია მიმართულების ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების ჩამონათვალში გამოირიცხოს ერთდროულად ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცესში ჩართულობა ან ჩანაწერი გახდეს მკაფიო რიგ შემთხვევებში, ერთ-ერთ პროცესში მისი მონაწილეობის შეუძლებლობის შესახებ.</u>

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე, ელექტრონულ ბიბლიოთეკაში (გამოყენებადია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ან/და ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. დისტანციური ჩართვის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით, გადამოწმდა და დადასტურდა რამდენიმე სახელმძღვანელოს არსებობა.

PDF Eraser Free

კოლეჯის ვებ გვერდზე წარმოდგენილი ელექტრონული რესურსების გაცნობის და დისტანციური ჩართვის ფარგლებში ბიბლიოთეკის დათვალიერების შედეგად, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" განხორციელების მიზნებისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების" მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: *„კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, მათთვის მორგებული სერვისების შეთავაზებას, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას".*

   დაწესებულების წარმომდგენელთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტების შეფასებით, დაწესებულებაში გააზრებულია სსსმ პირების მიერ, მათი მოთხოვნილებების შესაბამისად ადაპტირებულ, პროგრამით/ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის საჭიროება. ასევე, შესწავლილი რეგულაციის ჩანაწერით ნაჩვენებია შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების აუცილებლობა. დაწესებულების წარმომადგენელების განმარტებით, კოლეჯს არ აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტების სწავლების გამოცდილება.

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" განაცხადით ორი ჯგუფის შემოსავლის მიხედვით გაანგარიშებული ბიუჯეტი, დაკორექტირდა და გასაუბრების ეტაპზე, ერთ ჯგუფზე გათვლილი, ცენტრის მეშვეობით, გამოგზავნილ იქნა ექსპერტებთან.

   წარმოდგენილი კორექტირებული ბიუჯეტი ითვალისწინებს ვაუჩერულ შემოსავალს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს: „პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯებს, კომპიუტერის გამართული მუშაობის უზრუნველყოფის, კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის, პედაგოგებისა და სტუდენტების წახალისების ხარჯებს, სტუდენტთა კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის, საბიბლიოთეკო ფონდის შევსების, კოლეჯის განვითარების ხარჯებს, საკანცელარიო საოფისე ხარჯს, სამეურნეო ხარჯს, კომუნალურ გადასახადებს, სარეკლამო ხარჯს, სასწავლო ვიზიტის/პრაქტიკის ორგანიზებას, დიპლომების/დიპლომის დანართების დამზადებას, საპენსიო შენატანებს, ქონების გადასახადს, გაუთვალისწინებელ ხარჯს"

   რენტაბელობის ზღვარი დადგენილია - 5 პროფესიული სტუდენტი.

   ექსპერტების შეფასებით, ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" განხორციელების მდგრადობა ვაუჩერული დაფინანსების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მატერიალური-რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯში „გეორგია“ შინაგანაწესი;
3. „პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციები“;
4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები”;
6. ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზის მონაცემები;
7. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
8. კორექტირებული პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
9. დისტანციური ჩართვის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერება;
10. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1-2 „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების” მე-3 მუხლში განსაზღვრულია „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინსტრუქცია“, რომლის მიხედვითაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურებს ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი და შედეგებს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. აღნიშნული წესის მიხედვით, პროგრამა ფასდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა; ასოციაციების/ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები; სასწავლო ლიტერატურის შესაბამისობა პროგრამის მიზანთან, „სტუდენტთა ანკეტური გამოკითხვებით მოპოვებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ინფორმაცია“. აქვე განსაზღვრულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების წესი”, რომლის მიხედვითაც „*პროგრამაში ცვლილების განხორციელება კოლეჯს შეუძლია, როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ინიცირებების გაგზავნით.“* კოლეჯის მიერ განხორციელებადი ცვლილებები შესაძლებელია ეხებოდეს თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას და ა.შ. ხოლო ცენტრში პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ ინიცირება ხდება იმ შემთხვევაში თუ გაჩნდა *„ახალი უნარი ბაზარზე, რომელსაც მიმდინარე პროგრამა ვერ ფარავს, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისას აღმოაჩნდა სწავლის შედეგებში, შეფასების კრიტერიუმებში, კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში ან შეფასების მიმართულებებში გარკვეული ტიპის უზუსტობები, ხარვეზების გამოსასწორებლად“.* პროგრამაში ცვლილების შეტანა ფორმდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამავე მუხლის 21-ე პუნქტის მიხედვით, *„კოლეჯი ადეკვატურად რეაგირებს მიღებულ უკუკავშირზე - აანალიზებს მონაცემებს და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ახორციელებს: შესაბამის ცვლილებებს პროგრამაში/მოდულში, კოლეჯში მოქმედი „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების წესი“ -ს შესაბამისად; გამოვლენილი პრობლემის/სისუსტის /ხარვეზის გამოსწორების ადეკვატურ სამუშაო გეგმას“.*

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების” შესწავლაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, რეგულაცია მოიცავს პროგრამის შეფასების და შეფასებაზე რეაგირების მოხდენის შესახებ საკვანძო ჩანაწერებს, თუმცა სისტემის დასანერგად საჭიროა დაწესებულებამ მოახდინოს რეგულაციის გადამუშავება, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროცესების თანმიმდევრული აღწერა, ვიდრე განსახორციელებელი აქტივობების ჩამოთვლა (მაგ. პროგრამის შეფასების მექანიზმები); დოკუმენტის თავებად/მუხლებად/პუნქტებად დაყოფა სრულყოფილად (მაგ. მე-3 მუხლი მოიცავს ნაწილებს და მეორდება პუნქტების ნომრები).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“;
2. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

PDF Eraser Free

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. დაცულია მოდულით გათვალისწინებული წინაპირობები და გამოყოფილია მოდულებს შორის განმეორებითი შეფასებისთვის დროის 1 კვირიანი შუალედი.

   გასაუბრების დროს, დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს ექსპერტებისთვის სალექციო განრიგის ბადის ჩვენება, რომლითაც დასტურდება სააუდიტორო ფონდის საკმარისობა მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით.

2. დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციების" მე-18 მუხლით დარეგულირიებულია *„პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში"* პროგრამის პროფესიულ სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის საკითხები, მათთვის ალტერნატიულ ვარიანტების შეთავაზებით, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობის დაშვებებთან.

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" შემადგენელი მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების სარეკომენდაციო მეთოდებს, რომელიც არის თანამედროვე და უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

4. „პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციების“ მე-16 მუხლით განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტის ინდივიდუალურ რეჟიმში გავლის საკითხები - განსაზღვრულია ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის შესაძლებლობა, აღწერილია პროცესი, (ინიცირება, კომისიის შექმნა, პროექტის შემუშავება, გაცნობა, დამტკიცება), რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის ჩართულობას და ჩამოთვლილია სარგებლობის შესაძლო შემთხვევები:

PDF Eraser Free

- *„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის;*
- *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის;*
- *სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში;*
- *მობილობის დროს, თუ ჯგუფს უკვე გავლილი აქვს გარკვეული საკითხები;*
- *პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული, ცალკეული კომპონენტების გაუვლელობის შემთხვევაში;*
- *ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარებით ჩარიცხული სტუდენტებისათვის“.*

ექპერტების შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ამასთან, ზემოაღნიშნული რეგულაციის მე-13 მუხლით განსაზღვრულია შიდა და გარე მობილობით სარგებლობის უფლების მქონე პირები, ხოლო მე-14 და მე-15 მუხლებში ჩამოთვლილია მობილობის განხორციელებაზე უარის შესაძლო საფუძვლები და შეზღუდვები. ამავე წესის მე-10 მუხლი აღწერს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საკითხებს.

<u>აღნიშნული რეგულაციის შესაბამისი მუხლების შესწავლის შედეგად, ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია **ა)** გასწორდეს მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის ჩანაწერი, რათა მკაფიოდ ჩანდეს გარე მობილობის სხვა პროფესიული განათლების მიმწოდებელი დაწესებულების პროფესიულ სტუდენტზე გავრცელება (აღნიშნულ შემთხვევაში კოლეჯი „გეორგია“ მოიაზრება როგორც მიმღები დაწესებულება) და **ბ)** პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები თანხვედრაში იქნას მოყვანილი მიმდინარე კანონმდებლობასთან და შესაბამისი პუნქტის მოთხოვნებთან:</u>

ა) „მე-3 პუნქტი გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კოლეჯში მიღებული წესით, <u>რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის კოლეჯ „გეორგია“-ს პროფესიული სტუდენტი “.</u>

*<u>ბ)</u> <u>ასევე, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი (სტატუსის შეჩერების ერთ-ერთი საფუძველი - უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების გამო)</u> შესაბამისობაში მოიყვანოს მე-4 პუნქტის მოთხოვნასთან <u>(დაუშვებელია **გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში** საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება)</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" შემადგენელი მოდულებით (მათ შორის „გაცნობითი პრაქტიკა") განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად დაგეგმილია დაწესებულების ბაზაზე, შესაბამისად პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში პარტნიორი კომპანიის ჩართულობას.

PDF Eraser Free

თუმცა „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება" მე-4 მუხლი პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების შესახებ განმარტავს, რომ *„პროგრამა მოიცავს სამ პრაქტიკულ მოდულს: გაცნობითი პრაქტიკა, პრაქტიკული პროექტი და საწარმოო პრაქტიკა"* და რომ *„პრაქტიკული მოდულები ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, რეალურ სამუშაო გარემოში. ამისათვის კოლეჯს გააჩნია პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულება (კონტრაქტი)".*

ექპერტების მიერ დაისვა შეკითხვები ზემოაღნიშნული დებულებით გათვალისწინებულ საკითხთან და პროგრამის ადაპტირების ეტაპზე გაცნობითი პრაქტიკის მოდულის კოლეჯის ბაზაზე განხორციელების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აუცილებლობის არარსებობის მიუხედავად, კოლეჯი ამ ეტაპზე შესაფერისი პარტნიორის ძიების პროცესშია, რომელიც სრულყოფილად დააკმაყოფილებს კოლეჯის მოთხოვნებს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სათანადო პირობების შექმნის ნაწილში და შედეგად შეთანხმების შემთხვევაში პროგრამაში კოლეჯი განახორციელებს ცვლილებას პრაქტიკული მოდულ/ებ/ის გარკვეულ ნაწილის საწარმოო ობიექტზე განსახორციელებლად.

<u>ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მოახდინოს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებისა" და პროგრამის ადაპტირების კოლეჯში ჩამოყალიბებული მიდგომების გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის ადაპტირების ინსტრუქციებისა და დამტკიცებული პროგრამის შესაბამისობა.</u>

6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები" სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, პროგრამის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების შექმნას/დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციები";
2. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება";
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები";
4. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

☐ მეტწილად შეესაბამება

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1-2 „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების“ მე-12 და მე-13 მუხლები მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესს და დარეგულირებულია შეფასების ინსტრუმენტის მიმართ არსებული მოთხოვნები, აღწერილია შემუშავების და შემოწმების პროცედურა, ტექნიკური შემოწმება ევალება სასწავლო განყოფილების მენეჯერს, ხოლო შინაარსობრივი - მიმართულების ხელმძღვანელს, აქვე გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის წარდგენისა და კორექტირების კონკრეტული ვადები. შეფასების ინსტრუმენტით განისაზღვრება დამატებითი შეფასების და შეფასების გასაჩივრების პირობები. ამავე დებულების მე-10 მუხლი იძლევა პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი შეფასების უფლებით 2-ჯერ სარგებლობის შესაძლებლობას (ფასიანი მომსახურება); გაწერილია კონკრეტული ვადები როგორც წინაპირობის არსებობის, ასევე არარსებობის შემთხვევაში; სწავლის შედეგის/მოდულის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს:

ა) შეუფერხებლად წინაპირობის არ მქონე მოდულებზე;

ბ) ინდივიდუალურ რეჟიმში (ფასიანი მომსახურება);

გ) შემდგომი მიღების ჯგუფში (პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და აღდგენის მექანიზმის გამოყენებით).

ზემოაღნიშნული დებულების, იმავე მუხლის ნაწილი 3 მოიცავს აპელაციის წესსა და ვადებს, განსაზღვრავს კომისიის შემადგენლობას, მის საქმიანობას და შესრულების ვადებს.

<u>სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესწავლაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით,</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

- <u>მნიშვნელოვანია განისაზღვროს დამატებითი შეფასებისთვის საჭირო შეფასების ინსტრუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები;</u>
- <u>სასურველია აპელაციის მექანიზმში იკვეთებოდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა როგორც პროცედურულ, ასევე შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით;</u>
- <u>უმჯობესია ვადების განსაზღვრის ნაწილში მითითებულ იქნას იგულისხმება კალენდარული თუ სამუშაო დღეები (ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში სახელდება);</u>
- <u>საჭიროა სტუდენტისთვის დაწესებულების მიერ მინიჭებული არჩევანის უფლების დეკლარირებას მიეცეს სათანდო ფორმულირება (განსხვავებით ჩანაწერისა *„იგი ვალდებულია თავიდან გაიაროს აღნიშნული მოდული“* როდესაც რეგულაცია ითვალისწინებს ალტერნატივას).</u>

PDF Eraser Free

შეფასების სისტემის ვერიფიკაციასთან დაკავშირებული დოკუმენტები წარმოდგენილი იქნა ექსპერტებისთვის გასაუბრების დღეს: დირექტორის ბრძანება - N00001759 – 15.04.21 ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის, ვადების განსაზღვრის და ფუნქციების განაწილების შესახებ და „შიდა ვერიფიკაციის მექანიზმები“ - სასწავლო-მეთოდური საბჭოს ოქმი N1, რომელიც აღწერს ვერიფიკაციის მიმართულებებს, პროცესს და პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს. პროცესზე ანგარიშვალდებულება განსაზღვრული აქვს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელ პირს, ხოლო განმახორციელებლები არიან შიდა ვერიფიკატორები, დარგის სპეციალისტი - კოლეჯის მასწავლებელი/ მოწვეული სპეციალისტი. დოკუმენტში აღწერილია ვერიფიკაციის მიზნები, კრიტერიუმები (ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური), მიმართულებები (ინსტრუმენტი, პროცესი, მტკიცებულება) პროგრამის ფარგლებში შესაფასებელი მოდულების და სტუდენტების რაოდენობის შერჩევის პრინციპები.

3. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების“ „პროფესიული სტუდენტების შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოების“ შესახებ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განმსაზღვრელი შეფასებისას შექმნილ მტკიცებულებებს აგროვებს პროფესიული განათლების მასწავლებელი, შეფასების განხორციელების გარემოში, ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტი განმარტავს: *„პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება სამუდამოდ“.*

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების“ მე-3 მუხლის თანახმად, განმსაზღვრელი შეფასების შედეგი, პროფესიული მასწავლებლის მიერ, ინდივიდუალურად ეცნობება პროფესიულ სტუდენტს (პირადად, ელ-ფოსტის ან მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით), შეფასების ჩატარებიდან 2 დღის ვადაში. „პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციების“ მიხედვით პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია (საჭიროების და/ან წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში) განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე, მიიღოს სათანადო კონსულტაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

შესწავლილ რეგულაციაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების მათი შემდგომი განვითარებისათვის გამოყენება გათვალისწინებულია.

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

PDF Eraser Free

1. „პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციები“;
2. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები”;
4. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

დასაბუთება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი;

დანართი 2. კორექტირებული ბიუჯეტი.

20.05.21

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: